ჰიპერტონიული დაავადებები და მათი კავშირი ფიზიკურ - გეოგრაფიულ გარემოსთან (თბილისი-რუსთავის მაგალითზე)

ანა არსენაშვილი

ელ.ფოსტა : ana.arsenashvili366@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

ანოტაცია

საქართველოში სამედიცინო გეოგრაფია მეტ-ნაკლებად განვითარებული დარგია. ჩვენი ქვეყნის ლანდშაფტური მრავალფეროვნება გვაძლევს საშუალებას წინა პლანზე წამოვწიოთ ამ დარგის მნიშვნელობა საზოგადოების ჯანმრთელობაში. ხშირად და არც თუ ისე იშვიათად, სწორედ გეოგრაფიული ფაქტორია მიზეზი სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაში,რაც საინტერესო კვლევების ჩატარების საფუძველია. სამედიცინო გეოგრაფია შეისწავლის,თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემო ადამიანის ჯანმრთელობაზე. დადებითია თუ უარყოფითი ეს ზეგავლენა,ბუნების რომელი კომპონენტები მოქმედებენ უარყოფითად და ა.შ

ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის,ჰიპერტონიის გამომწვევი სხვადასხვა გეოგრაფიული ფაქტორები. ინდიკატორული გაზომვების შედეგად მოცემული მასალების ანალიზი,ეკოლოგიური,ნიადაგური,ჰიდროლოგიური დაბინძურების გავლენა ჰიპერტონიის გავრცელებასა და გამწვავებაზე. კვლევის მიზანია უკვე არსებული კვლევებისა და მონაცემების საფუძველზე შემუშავდეს ახალი მეთოდოლოგიები,რომელიც გამოავლენს გეოგრაფიული გარემოს კავშირს ადამიანების ჯანმრთელობაზე,გაზრდის მოსახლეობაში ინფორმირების დონეს,რაც თავიდან აგვაცილებს დაგვიანებულ მკურნალობას,დაავადების გამწვავებებს და დაგვიანებულ ჰოსპიტალიზაციას.